მე-15 საუკუნიდან იწყებს აღმოცენებას ახალი ჟანრები - საგვარეულო და რეგიონული მათიანეები, რაც ქვეყნის დეცენტრალიზაციის პირობებში მოსალოდნელი იყო. გვიან შუა საუკუნეებში ქართულ მწერლობაში რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი გაჩნდა: „მართლის თქმის“ პრინციპი, რომელიც უარყოფდა და მიუღებელ მოვლენად მიიჩნევდა ყოველგვარ გამოგონილს, და რომლისთვისაც უცხო იყო მხატვრული რეალიზმი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მწერლისთვის მისაბაძ მაგალითად შოთა რუსთაველი რჩებოდა, ამავე დროს ის კრიტიკის ობიექტი ხდებოდა იმ საუკუნეების ყველაზე გამოჩენილი პოეტებისთვისაც კი, რომელთაც მიაჩნდათ, რომ მათი სახელოვანი წინამორბედი „ამაოდ დაშვრა“, ვინაიდან უცხო, გამოგონილი, „ესე ამბავი სპარსული“ მოგვითხრო.

იმ საუკუნეებში პოეზია პრიორიტეტული გახდა იმდენად, რომ პირადი წერილებიც კი ლექსად იწერებოდა. აღორძინდა ჰაგიოგრაფიის ჟანრი, რომელიც ისტორიული პოემების ფორმით იყო წარმოდგენილი. მე-16 საუკუნეში გრძელდებოდა კერძო მათიანეების წერა, თუმცა იმან, რაც გაერთიანებული საქართველოს პირობებში იშვა - „ქართლის ცხოვრება“- ერთგვარად დაკარგა აქტუალურობა. პოლიტიკურად დანაწევრებულ საქართველოში კრებულის შევსების, გადაწერის ან გაგრძელების საჭიროება დღის წესრიგში არ დასმულა, თუმცა ერთგვარი ნიადაგი საამისოდ მზადდებოდა, რადგან ორ დამპყრობელს შორის გავლენის სფეროებად

1 რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 1975; P. K. Kiknadze. Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе и „Картлис цховრება“, Тбилиси, 1980.

ორ ნაწილად გაყოფილ საქართველოში მის მეფეებსა და მთავრებს არასდროს განელებათ ქვეყნის გაერთიანების სურვილი. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად ისინი ხან ანტიოსმალურ კოალიციებში ერთიანდებოდნენ, ხან ელჩებს გზავნიდნენ რუსეთში, რომელიც თანდათან იკრებდა ძალას ტერიტორიების გასაფართოებლად, მათ შორის, ოსმალეთისა და სპარსეთის ხარჯზე.

მთელი მე-17 საუკუნის განმავლობაში ოსმალეთი და სეფიანთა სპარსეთი ხელს არ იღებდნენ თავისი კონტროლის ქვეშ ნაწილობრივ მყოფი საქართველოს გაერთიანების გეგმაზე, რასაც სხვადასხვა ფორმით ახორციელებდნენ: ღია, საომარი დაპირისპირებით, დიპლომატიური ნაბიჯებით და საქართველოს გამგებლებთან მოლაპარაკებით, ნაირნაირი დაპირებებით, აღმოსავლეთ საქართველოში გამგებლებად სპარსეთში გაზრდილი ან ოსმალეთის მოკავშირე გამუსლიმებული ქართველების, სპარსეთიდან საგანგებო დავალებებით გამოგზავნით და გამგებლებად დანიშვნით. შეიძლება გავიხსენოთ ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის შვილის, დავითის (დაუდ-ხანის) ქართლის გამგებლად (მეფედ) 1569-1578 წწ. დანიშვნის ფაქტი, მისი ძმის სიმონის სპარსეთში ტყვეობიდან გათავისუფლება და კვლავ ქართლის მეფედ 1578-1599 წწ. მოვლენა, კახეთის მეფის, ალექსანდრე II-ის (1574-1605 წწ.) შვილის, კონსტანტინეს, საგანგებო მისიით გამოგზავნა კახეთში, ან ოსმალეთიდან სინან იუსუფის სახელით გიორგი გურიელის თბილისის ფაშად დანიშვნა 1582 წელს,¹ ქართლის გამგებლებად ერთმანეთის მიყოლებით დაუდ-ხანის შვილისა და შვილიშვილის გამწესება (ბაგრატ-ხანის 1616 წ., ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი შვილის, სიმონ-ხანის 1619-1630),² იმავე დაუდ-ხანის შვილის, ხოსრო-მირზას (როსტომის) ქართლის, ხოლო შემდეგ ქართლისა და კახეთის ვალიდ³ დანიშვნა,⁴ რომელიც 40 წლის განმავლობაში ისპაჰანის დარულად (მოურა-

1 გ. ალასანია, თ. კუბლაშვილი, თბილისის წარსულიდან. - გ. ალასანია. საისტორიო კრებული, 2007, გვ. 209-217.

2 გულიკო ჟორჯოლიანი. საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში (ქართლ-კახეთი), თბ., 1987, გვ. 17.

3 შაჰის ნაცვალი (ვალი) ქართულ მატთანებში მაინც მეფედ იხსენიება. ფრანგი მოგზაურის, ტავერნიეს გადმოცემით, რომელმაც აზიაში 1636-1666 წლებში იმოგზაურა, „ორ მეფეს (იგულისხმება აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო - ქართლი და სამეგრელო) შორის უფრო ძლიერი ის არის, რომლის სატახტო ქალაქი ტფილისია და რომელსაც იქაურენაზე უწოდებენ ქართლის მეფედ“ (ტავერნიეს მოგზაურობიდან, თარგ. ი. ჭყონიასი. - მოამბე, თვიური ჟურნალი, №5-6, მაისი, 1898, ტფილისი, 1898, გვ. 2).

4 როსტომის შესახებ განსხვავებული შეხედულებებია ქართულ ისტორიოგრაფიაში. „ქართლის ცხოვრების“ ბერი ეგნატაშვილისეული ვერსიით, „მიდგომილ იქმნა დედაკაც იგი დავითის მიერ, შვა ძე და უწოდა სახელად ხოსრო მირზა ... ოდეს წარგზავნილ ყვნა ყაენმან დაუთ ხან საქართველოში, მუნ დაშთა ყრმა იგი ხოსრო მირზა და დედა მისი და იყო ობლად ესე ხოსრო მირზა და არავინ იყო მწედ მისა, თვინიერ დედისა მისის და შექნილიყვნენ ორნივე დედა-შვილნი სჯულითა მაჰმადიანი და იყოფოდენ დიდად გლახაკად და უღონოდ ყოვლისავე საჭმარისაგან“ (ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, XVIII ს. დამდ, ტექსტი ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1940, გვ. 149; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II თბ., 1959, გვ. 404) ვახუშტი

ვად)¹ ითვლებოდა, თუმცა 1633 წლიდან იგი თავის ნაცვლად იქ ნაიბებს ნიშნავდა.² ოსმალეთსა და სეფიანთა სპარსეთს შორის დადებული ხელშეკრულებების საპირისპიროდ, ორივე მხარე ცდილობდა მოწინააღმდეგის კონტროლის ქვეშ მყოფ საქართველოს გამგებლებთან კავშირის დამყარებას: მაგალითად, სპარსეთთან კავშირის გაძლიერებას ისახავდა მიზნად ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის დის, მარიამის, დაქორწინება (1634წ., მაისი) სპარსეთიდან 1633 წლის 18 თებერვალს წარმოგზავნილ როსტომზე.³

დაბოლოს, ყურადღებას იქცევს ევროპის ქვეყნებთან ერთად საქართველოს გაერთიანება სეფიანთა სპარსეთთან ანტიოსმალურ კოალიციებში.⁴ დამპყრობელ ქვეყნებში საქართველოს ისტორიისადმი ინტერესი ბუნებრივია. ალბათ არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ მე-17 საუკუნის დასასრულს სწორედ სეფიანთა სპარსეთის სატახტო ქალაქში მყოფმა ფარსადან გორგიჯანიძემ პირველმა, დიდი ხნის ინტერვალის შემდეგ, გააგრძელა „ქართლის ცხოვრების“ წერის ტრადიცია და ძველ მონაკვეთს დაურთო მოვლენები მე-17 საუკუნის დასასრულამდე. ეს პროცესი საქართველოშიც დაახლოებით იმავე დროს დაიწყო და ამის ინიციატორები იყვნენ ვახტანგ VI-ის თაოსნობით შექმნილი „სწავლულ კაცთა“ კომისიის წევრები და მათი მიმდევრები. „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება და გაგრძელების სხვადასხვა ვერსიის შექმნა მთელი მე-18 და მე-19 საუკუნეების მანძილზე ხდებოდა.

ცნობები ფარსადანის ცხოვრებაზე მისსავე ნაშრომებშია გაფანტული და

ბაგრატიონის ინფორმაციით, როსტომი, იგივე ხოსრო- მირზა „იყო მაჰმადიანი და მუნ სპარსეთში აღზრდილი“.. „(ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, - ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 438); თეიმურაზ ბაგრატიონის აზრით, „ისეთი თათარი იყო, ერთი სიტყვა არც ქართული იცოდა როსტომ მეფემ“ (ა. ტულუში, თ. თოდუა. თეიმურაზ ბაგრატიონის უცნობი მინაწერები, გაზ. „წიგნის სამყარო“, თბ., 1973, 12, IX, 17); გულიკო. ჟორჯოლიანის გამოკვლევით, 1566-1567 წწ. საქართველოში დაბადებული როსტომი სპარსეთში არაუადრეს 1587 წლისა უნდა ჩასულიყო. მანამდე ის საქართველოში ცხოვრობდა, ბუნებრივია, ქართულიც იცოდა და, შესაძლოა, 1600 წლამდე ქრისტიანიც კი იყო (გ. ჟორჯოლიანი. საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში, გვ. 24).

- 1 მ. ბროსეს მიხედვით, *prefet de police- Histoire modern de la Géorgie, trad. du georgien par M. Brosset. - Histoire de la Georgie, II, 1-re livraison SPb., 1856, p.511.*
- 2 კ.კუცია. *ისპაჰანის ქართველი ტარულები (1618-1722).* - მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1972, გვ. 96-103.
- 3 ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ 1632 წელიც არის მითითებული, თუმცა უფრო სარწმუნო 1633 წლის თებერვალია (გ. ალასანია. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქათბი ჩელების ცნობათა შუქზე, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, 2, გვ. 126-127; ქათბი ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიაზე, 1978, გვ. 90; იმავე ნაშრომის მე-2 გამოც. თბ., 2013 წ. გვ. 80).
- 4 გ. ალასანია. საქართველო და პოლონეთი ანტიოსმალურ კოალიციებში. - აღმოსავლეთ-მცოდნეობა, 3, თბ., 2014, უნივერსიტეტის გამომცემლობა, (თსუ) გვ. 175-205; *Georgian-Polish Relations in the 16th - 17th Centuries.* 16. Ve 17. Yuzylda Gürcistan-Lehistan-Osmanlı İmparatorluğu İlişkileri. - Faculty of Oriental Studies. University of Warsaw. Remarks on Turkish Studies. 2015, p. 72-90.

მათზე დაყრდნობით ის სხვადასხვა დროს აღადგინეს მ. ბროსემ, მ. ტიტინაძემ, მ. ჯანაშიელმა, ივ. ჯავახიშივილმა, ს. კაკაბაძემ, ვ. ფუთურიძემ, რ. კიკნაძემ და სხვებმა.

„ჯამი აბასის“ მისეული ქართული თარგმანის პეტერბურგის ნუსხის დასაწყისში ფარსადანი წერს: „საწელითა მლთისათა და ძალითა და შეწევნითა მისითა ქრონიკო(ნ)სა სამას სამოცდაცხრამეტსა ღვინობისთვეში გათავდა ამისი დაწერა ფარსადან გორგიჯანიძის ჴელითა“.¹ და იქვე ნათქვამია: „აბა, მე, გლახ ფარსადან, ორმოცის წლისას ეს წინგნი მეთარგმანებინა და სამოცდახუთის წლისამ ისპაჰანის ქალაქში დავსწერე“.² ივ. ჯავახიშივილის ვარაუდით, რაკი „ჯამი აბას“-ის დასრულებისას, 1691 წელს ფარსადანი 70 წლისა ყოფილა, ე.ი. იგი 1626 წელს დაბადებულია. იმავე მკვლევრის შენიშვნით, სამართლის წიგნის „ჯამი აბას“-ის ქართულ თარგმანში იგი თავის თავზე ამბობს „ქართლის გორელი ვიყავ“,³ მ. ბროსეს თარგმანით „Parsadan Gorgidjanidze, Georgien, de Gori“- „ფარსადან გორგიჯანიძე, ქართველი, გორიდან“.⁴ როგორც ივ. ჯავახიშივილი აღნიშნავს, „მ. ბროსეს გონია, რომ იგი სომეხი უნდა ყოფილიყო“.⁵ ამ უკანასკნელ შესაძლებლობას არც ივ. ჯავახიშივილი გამორიცხავს, თუმცა იქვე კვლავ იხსენებს, რომ თვით ფარსადანი თავს ქართველად მიიჩნევდა. უნდა აღინიშნოს, რომ „ჯამი აბასის“ ქართული თარგმანის დასაწყისში⁶ ფარსადან გორგიჯანიძის ნათქვამი „ქართლის გორელი ვიყავ“ არ გულისხმობს მის ეთნიკურ კუთვნილებას. ამავე დროს მის ნაშრომში სომეხების მიმართ თანაგრძნობა ამკარაა, თუმცა ეს მონაცემები საკმარისი არ არის კატეგორიული დასკვნისათვის. როგორც მოჰამედ თაჭერის თხზულების ქვემოთ მოტანილი ციტატიდან დავინახავთ, მე-17 საუკუნის სპარსელი ავტორის აზრით, ფარსადანი ქართველი იყო.⁸ თეიმურაზ ბაგრატიონს მოტანილი აქვს ინფორმაცია შოთა რუსთაველზე, ხოლო სქოლიოში განმარტება: „ესე ვიხილე მე წიგნსა შინა საისტორიოსა საქართველოისასა აღწერილსა ფარსადან გორგიჯანა შვილისა გორელისა, რომელიცა ყოფილარს განსწავლული კაცი ქართულსა და სხვათა აღმოსავლეთისა ენათა ზედა. მრავალთა დროთა და საქართველოისა სხვათა და სხვათა შემ-

1 ჯამი აბასი, ხელნაწ. M 27, ფ. 1ა; რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და ამჟამანი შარავანდედთანი“, გვ. 9.

2 ჯამი აბასი, ხელნაწერი M 27, ფ. 346ა.

3 „ჯამი აბასის“ ქართული თარგმანის ხელნაწერის დასაწყისში (ხელნაწერი M. 27, ფ. 1ა).

4 Brosset. Histoire modern de la Géorgie, II, 1-re livraison, p. 513.

5 Brosset. Histoire modern de la Géorgie, II, 1-re livraison, p. 510; ივ. ჯავახიშივილი. ფარსადან გორგიჯანიძე, - ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი 1, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.) - თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი , VIII, თბ., 1977, გვ. 283; რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და ამჟამანი შარავანდედთანი“, გვ. 10.

6 ხელნ. M 27, ფ. 1.

7 რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და ამჟამანი შარავანდედთანი“, გვ. 10.

8 მოჰამედ თაჭერის ცნობები საქართველოს შესახებ. - ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა. - „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 39, თბ., 1954, გვ. 386.

თხვეულებათა დამსწრე საქართველოსა მეფეთაგან და სპარსეთისაცა კარსა ზედა პატივცემული“.¹ თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგის ცნობით, ფარსადანი ყოფილა „ქართლისა ქალაქისა გორიდან“.²

მარი ბროსე მართლაც უშვებს ფარსადანის სომხური წარმოშობის შესაძლებლობას, ვინაიდან, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ის გორიდან იყო, რომლის მოსახლეობის 3/4 სომხები იყვნენ. ამას მოსდევს ვარაუდი, „შესაძლოა, თავადაც სომეხი იყო“.³ მ. ბროსეს გადმოცემით, ფარსადანის ძირითადი ნაშრომის ხელნაწერი, რომელშიც საქართველოს ისტორია იგულისხმება, დაახლოებით 1841 წელს აღმოაჩინა პლატონ იოსელიანმა. პეტერბურგში ჩასვლისას ის მ.ბროსეს დაუკავშირდა და ნება დართო მას და კიდევ სხვა პირს, რომ გადაეწერათ ტექსტი. ორიგინალი კი მის ხელში დარჩაო. მ. ბროსეს დახასიათებით, „ეს არც თუ კარგი ხელით დაწერილი ხელნაწერი ადვილად იკითხება, მაგრამ სიტყვები დაცლებულია წერტილებით, ძველებურ ყაიდაზე, დაუდევრად, სწორი ორთოგრაფიის არცოდნით“. გარდა ამისა, „ან ფარსადანმა არ დაასრულა თავისი ნაშრომი, ან მისი ხელნაწერი მნიშვნელოვნად დაზიანდა. ტექსტის შუა ადგილიდან გამოტოვებულია ადგილები, ბოლოში მოთავსებულ ფურცლებზე ხშირია გამეორებები. ზოგიერთ შემთხვევაში ტექსტი წყდება შუა გვერდზე ისე, რომ არ იძებნება გაგრძელება. რაც შეეხება სტილს, ის ყველაზე უფრო ნაკლებად დახვეწილია, რაც კი შეიძლება წარმოიდგინო, გაუმართავია, მაგრამ ცოცხალი და ორიგინალური“.⁴ ტექსტი იწყება საქართველოში ქრისტიანობის შემოღების შესახებ თხრობით და გრძელდება მე-18 საუკუნემდე, ქრონიკებიდან აღებული ნაწყვეტებით, რომელიც მეფე ვახტანგს მიეწერება. ეს სამუშაო, ძალზე ზედაპირული, ხშირად აჩვენებს, თუ რამდენად ესმოდა ან არ ესმოდა ავტორს თავისი წყარო, რომელიც მას ახსოვდა დეტალურად ან დავიწყებული ჰქონდა. „საქართველოს ისტორიაში“ მ. ბროსეს, როგორც ის აღნიშნავს, ხშირად მოაქვს იქიდან ციტატები. დაწყებული მე-16 საუკუნის ბოლოდან ის პოულობდა აქა-იქ საინტერესო ინფორმაციას, რომელიც საყურადღებოდ მიაჩნდა, და შეჰქონდა თავის „შენიშვნებში“, მაგრამ შემდგომი პერიოდისთვის, რომელსაც ფარსადანი აღწერს როგორც თანამედროვე, მ. ბროსეს შეფასებით, მის თხზულებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და მკვლევარსაც იქიდან ვრცელი პასაჟები აქვს ამოღებული. ფარსადანის თხზულების მ. ბროსესეული თარგმანი იწყება როსტომისათვის იმერეთის ბატონიშვილის, მამუკას, შვილად აყვანის შეთავაზებით.⁵

ასევეა წარმოდგენილი ფარსადანის ტექსტი დავით ჩუბინაშვილთან, რომე-

1 თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, ქმნილი საქართველოს მეათცამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან., სანქტპეტერბურგი, 1848, გვ. 284.

2 ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები, ტომი 1, ნაკვეთი პირველი, თბ., 1962, გვ. 255.

3 Brosset. Histoire modern de la Géorgie, II, 1-re livraison, p. 510.

4 Brosset. Histoire modern de la Géorgie, II, 1-re livraison, p. 509.

5 Brosset. Histoire modern de la Géorgie, II, 1-re livraison, p. 514.

ლიც ფარსადანის თხზულებიდან ამოღებულ ნაწყვეტს შემდეგნაირად ასათაურებს: „როსტომ მეფის ცხოვრება, გადმოწერილი საქართველოს ისტორიიდან გორგიჯანიძის მიერ თხზულისა“.¹ სარგის კაკაბაძე ფარსადანის ტექსტის, მისი აზრით, ღირებული მონაკვეთის გამოცემისადმი დართულ შესავალში დეტალურად მსჯელობს ფარსადანის თხზულების ხელნაწერებზე, ეხება იმ ხელნაწერს, რომელიც 1841 წელს, საქართველოში აღმოაჩინა პლატონ იოსელიანმა, შემდეგ ის მოხვდა იოანე ბაგრატიონის კოლექციაში, ხოლო მოგვიანებით პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში. მისი დახასიათებით, ხელნაწერს არ გააჩნია პაგინაცია, აკლია დასაწყისი, ასევე ზოგიერთი ფურცელი, ხოლო ყდაში ჩასმისას ფურცლები არეულად მოუთავსებიათ. ბოლოში, 1710 წელს სხვა ხელით შესრულებულ მინაწერზე დაყრდნობითაც, რომელიც ჩუბინაშვილმა ფარსადანის ტექსტის გაგრძელებად მიიჩნია, გაარკვია, რომ ხელნაწერი ჯერ კახეთში მოხვდა, თვით მინაწერიც კახელის ხელითაა შესრულებული, ხოლო თვით ხელნაწერი, რომელიც, შესაძლოა, ფარსადანის ხელითაა დაწერილი, შედარებით ადრე, დაახლოებით 1700 წლის ახლოს, 1696-1700 წლებს განეკუთვნება და უკვე სარგის კაკაბაძის დროს იყო თბილისში, საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმში (№2140). პირველი ხელნაწერიდან გადაწერილი მეორე ხელნაწერი, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აზიურ მუზეუმში ინახებოდა, ერთ-ერთი ქართველი ბატონიშვილის დავალებით სვიმონ ტაბიძეს დაახლოებით 1830 წელს გადაუწერია.²

ისფაჰანის უკანასკნელი სპარსელი დარულას გადაყენების შემდეგ, 1618 წელს, აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა ქართველი უფლისწული ხოსრო მირზა, იგივე ქართლის ვალი როსტომი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მოვალეობის შემსრულებლად ფორმალურად გარდაცვალებამდე ითვლებოდა, თუმცა როსტომის ქართლის ვალიდ დანიშვნის შემდეგ, ისფაჰანში მის ნაცვლად მისივე წარდგენით სხვადასხვა პირი იგზავნებოდა.³ მათ შორის ერთ-ერთი იყო ფარსადან გორგიჯანიძე.

მ. ბროსეს მოაქვს ინფორმაცია ფარსადანის წინაპრებზე. 1624 წელს, როდესაც ყარჩილა ხანი დაიღუპა, „ქართველებმა რომ ალყა შემოარტყეს თბილისის ციხეს, ვინმე გიორგი გორგიჯანიშვილმა, გორიდან, მოახერხა მიეწოდებინა წყალი ალყაშემორტყმული სპარსელების გარნიზონისთვის. როგორც კი მოურავმა, გიორგი სააკაძემ, შეიტყო ამ ღალატის შესახებ, მან იგი „ჩამოახრჩო“ (გვ. 132). 1636 წელს ასევე მეორე გორგიჯანაშვილია (გიორგი) მოხსენიებული“ (გვ. 354). იქვე მ.ბროსე შენიშნავს, რომ გაურკვეველია ფარსადანს თავისი გვარის რომელი ფორმა მიაჩ-

1 ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, ახალი მოთხრობა, 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე გამოცემული მ. ჩუბინოვისაგან სანქტპეტერბურგს, 1854, გვ. 517-569.

2 სარგის კაკაბაძე. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. - საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 199-200.

3 კ. კუცია. ისფაჰანის ქართველი ტარულები (1618-1722). - მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972, გვ. 95-99.

ნია უფრო სწორად. მის წიგნში ორჯერ არის გორგიჯანიძე (321, 397), რომლის ანალოგია გორგიჯანაშვილი; ოთხჯერ გიორგიჯანიძე (გვ. 387, 406, 455, 461). ქართული სახელის გიორგის სომხური შესატყვისია „გორგე“, „გორგი, გეორგე“, რაც არის წიგნებში, როდესაც ლაპარაკია ქართველ პირებზე; „ჯან“ სპარსულია, ნიშნავს „სულს“ და არის მოფერებითი ფორმა, სინაზის, ფამილიარობის გამომხატველი. თვითონ მ. ბროსე ფიქრობს, რომ ეს ორი გვარი ერთია და რომ ფარსადანმა საზოგადოებისათვის ცნობილი ღალატის გამო, რომელიც მისმა წინაპარმა ჩაიდინა, შეიცვალა გვარი, ხოლო მათი გვარის სწორი ფორმა იყო „გიორგიჯანიძე“.¹

მ. ბროსეს შენიშვნით, არც ევროპულ და არც სპარსულ წყაროებში არავითარი ინფორმაცია ფარსადანზე 10 წლის ასაკამდე არ მოიპოვება. მთელი მისი მიღწევები და წარმატებები უკავშირდება მეფე როსტომის სახელს, რომელმაც მიაღებინა მას განათლება და დააქორწინა; მეფემ და დედოფალმა თავისი ხარჯით გადაუხადეს მას ხუთდღიანი ქორწილი.² მ. ბროსეს აზრით, ფარსადანი სრულ სიმართლეს მოგვითხრობს იმის შესახებ, რაც უნახავს და გადახდომია 10-დან 70 წლამდე. რადგან 65 წელი 1691 წელს შეუსრულდა, 10 წლის ასაკის ის 1636 წელს ყოფილა, 1653 წელს გაუგზავნიათ სპარსეთში, რათა მიელოცა ახლად დანიშნული ეთთემად უდ-დოულესათვის, მეჭმედ-ბეგისათვის, რომელმაც ხალიფა-სულტანი შეცვალა. ეს მოხდა მაშინვე უფლისწულ ლუარსაბის დაღუპვის შემდეგ, რომელიც ნაშვილები ჰყავდა როსტომს. ფარსადანმა ბამთარი ლაჰჯანში გაატარა, დაკავებული იყო 300 თუმნის შემოსავლის აკრებით, რომელიც სამეფო შემოსავლად გილანში იყო დაწესებული. ის დაბრუნდა საქართველოში და კვლავ გაემართა შაჰთან, რათა ეთხოვა მისთვის მეფის სახელით ნებართვა ეშვილებინა ვახტანგი, მუხრანის უფლისწული, და დაენიშნა ის მის მემკვიდრედ. მალე როსტომმა, რომელიც ქართლში მის მეფედ დანიშვნამდე ისფაჰანის დარულა ანუ „პოლიციის პრეფექტი“ იყო, თავისი ფუნქცია და სახელო გადასცა ფარსადანს, რომელმაც მიიღო ისლამი და ისქანდერ მუნშის გამგრძელებლის³ მიხედვით დაირქვა ფარსადან-ბეგი. ჩვენი ავტორი ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ გვამცნობს, რომ მას დაერქვა ეშიკ ალასი ბაში, ან ბოქაულთუხუცესი; ამასთანავე მიიღო ხუთი სოფელი თავისი გარემოცვისთვის. მისი სახლის ქალები და ჯალაბნი საქართველოში დარჩნენ. თუმცა ის დიდხანს არ ყოფილა თანამდებობაზე. ხალხის უკმაყოფილების გამო შაჰმა ის გადააყენა თანამდებობიდან და სთხოვა როსტომს სხვისი დანიშვნა, რომელიც ისქანდერ მუნშის და ტავერნიეს მიხედვით ქართველი რენეგატი პადადა-ბეგი (იგულისხმება პაატა) იყო.

1 Brosset. Histoire modern de la Géorgie, II, 1-re livraison, გვ. 510, 511.

2 Brosset. Histoire modern de la Géorgie, II, 1-re livraison, გვ. 511.

3 ისქანდერ მუნშის ძირითად ნაშრომს, რომელიც შაჰ აბასის გარდაცვალების წელს (1629) დასრულდა, შემდგომში რამდენიმე გაგრძელება დაერთო: იმავე ისქანდერ მუნშის კუთვნილი 1629-1634 წლების აღწერა და მასზე დართული მოჰამედ იუსუფის ნაშრომი „ხულდე-ი ბარინ“-ის ნაწილი, რომელშიც მოვლენები 1642 წლამდეა მოყვანილი (ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა, თბ., 1981, გვ. 13-14.

ადრე მე ვფიქრობდი - აღნიშნავს მ. ბროსე, რომ ეს თვით ფარსადანის მუსლიმური სახელი იყო, მაგრამ ახლა ეს შეცდომად მიმაჩნიაო.¹

ვ. ფუთურიძის დაკვირვებით, მ. ბროსე ცდება, როდესაც ფარსადან გორგიჯანიძის ზოგიერთ ინფორმაციას საქართველოს შესახებ ისქანდერ მუნშის ისტორიიდან ამოკრეფილად მიიჩნევს, სინამდვილეში, როგორც ის ფიქრობს, ისინი დაცულია მუჰამედ თაჰერის თხზულებაში, რომლის ცნობები საქართველოს შესახებ მანვე თარგმნა.² კონკრეტულად იგულისხმება შემდეგი ცნობა: „...ხელმწიფე გამწყრალი იყო ერთხელ უკვე ნახსენები საქმეების გამო მირ-ყასემ ბეგზე, რომელიც როსტომ-ხანის ნაცვლად იყო სამეფო ქალაქ ისპაანში ტარულად, და ის გადააყენა ამ საქმიდან. დადგენილ იქნა, რომ როსტომ-ხანმა დანიშნოს სხვა (ისეთი), რომელიც შეძლებს ამ საქმის (ტარულობის) შესრულებას. საქართველოს ვალიმ ფარსადან-ბეგ ქართველი დანიშნა და (შაჰს) მოახსენა, რომ თუ უკეთილშობილესი ბრძანება იქნება, ის შეასრულებდა ამ საქმეს. მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, რომ რადგანაც საღვთო კანონის დამცველი ჩვენი უავგუსტოესობის აზრით არასგზით არ დაიშვება, რომ ისლამის ხალხზე მმართველად და ხელისუფლად იდგეს სხვა სარწმუნოების (პირი), ამიტომ თუ (ფარსადან-ბეგი) ისლამის პატივით შეიმოსება, მაშინ იქნება (მხოლოდ) როსტომ-ხანის თხოვნა მიღებული და შესრულებული. ფარსადან-ბეგიც მორჩილებით და დიდის მონდომებით გახდა მუსლიმანი, თავით იქნა შემკული და (შაჰის) ფეხთა კოცნის პატივით განდიდებული ხსენებულ საქმეს შეუდგა“.³ იგივე მემატიაზე ფარსადანის თანამდებობიდან გადაყენების შესახებაც მოგვითხრობს: „...გამოვიდა მაღალი ფირმანი ისპაანის ტარულობიდან ფარსადანის გადაყენების შესახებ, ხოლო როსტომ-ხანის სახელზე გამოცემულ იქნა უკეთილშობილესი რაყამი, რომ სხვა დანიშნოს (მის) ნაცვლად და წარმოადგინოს, და რადგანაც შაჰის განათლებული გულისათვის ნათელი გახდა დივან-ბეგ ულურ-ბეგის წამხდრობა და წაქეზება (ხალხისა), მან, როგორც ამბობს (ლექსი): „ცუდად მხედველი თვალი თუ ვერ იხედება - უკეთესია“, ბრძანა, რათა „მისი ცუდად მხედველი თვალის გუგა მხედველობის სამოსისაგან გაეშვიშვლებინათ (დაებრმავებინათ ის)... ხსენებული სამეფო ქალაქის ტარულობა, თანახმად როსტომ-ხანის თხოვნისა, ბადადა (პაატა) - ბეგს ეწყალობა“.⁴

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 10 წლის ასაკიდან როსტომის კარზე აღზრდილმა ფარსადანმა კარგად შეისწავლა სპარსული ენა და საკმაოდ ახალგაზრდა რამდე-

1 Brosset. Histoire modern de la Géorgie, II, 1-re livraison, გვ. 511.

2 მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. - ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა. - „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 39, თბ., 1954, გვ. 386.

3 მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. - ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა. - „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 39, თბ., 1954, გვ. 386.

4 მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. - ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა. გვ. 387.

ნიმევერ გაიგზავნა სპარსეთში საგანგებო დავალებებით. 1656 წელს შაჰ აბას II-მ (მე-7 სეფიანთა შაჰი, 30 აგვისტო 1632 - 26 ოქტომბერი 1666) ქართლის გამგებელ როსტომის წარდგენით გამუსლიმებული¹ ფარსადანი ისფაჰანის დარულად (მოურავად - ნაიბად) დანიშნა. ვ. ფუთურიძის ზემოაღნიშნული შენიშვნის მიუხედავად, თვით ამავე მკვლევრისათვისაც ნათელია, რომ ფარსადანის ერთ-ერთი წყარო არის მე-17 საუკუნის ირანელი მემათიანის ისკანდერ მუნშის „თარიხ-ე ალამ - არა-იე აბბასი (ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია აბასისა“;² რომელიც ფარსადანის გამაჰმადიანების შესახებაც მოგვითხრობს: „რუსტემ ხანს, როგორც ისპაჰანის დარულას (მოურავს) თავის წარმომადგენლად (ისპაჰანში) ყავდა ვინმე მირ-კასემი. ყაენი მირ-კასემით უკმაყოფილო გახდა და ის გადაყენებულ იქმნა ადგილიდან. რუსტემ ხანს დაევალა მის ადგილას სხვა პირი გამოეგზავნა. ქართლის მმართველმა (როსტომმა) დანიშნა ქართველი ფარსადან-ბეგი და მისი (კანდიდატურა) წამოაყენა. მაგრამ ყაენმა ამაზე განაცხადა, რომ (ეს კანდიდატი) სამართლიანობის მის შეგნებას სრულებით არ შეეფერება და არც არის დასაშვები, რომ ურწმუნოს მიეცეს უპირატესობა მართლმორწმუნეებთან შედარებით და ამიტომ რუსტემ ხანის შუამდგომლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილებულ იქმნას, უკეთუ ფარსადან-ბეგი ისლამს მიიღებსო. ფარსადანი დასთანხმდა ამ მოთხოვნას და შეუდგა თანამდებობის ასრულებას“.³

ამგვარად ფარსადანმა თავისი კარიერა 40 წლის ასაკში დაიწყო, შაჰ აბას II-ის წლებში, ხოლო განაგრძო მისი შვილის, სულეიმანის (სეფიანთა მე-8 შაჰი, 1647-1694) დროს.⁴ ირანში ორმოცწლიანი ცხოვრების განმავლობაში იგი არაერთხელ ჩავარდნილა განსაცდელში. დარულას თანამდებობაზე, როგორც აღინიშნა, დამზავებული შეცდომების გამო, ის დიდხანს არ დარჩენილა. მიუხედავად იმისა, რომ მას დივანბეგმა მოსახლეობა აუჯანყა, რის გამოც ფარსადანმა თანამდებობა დაკარგა, სანაცვლოდ ის ეშიკაღასი გახდა და სარჩოც განეჩინა.⁵ ამის შესახებ მოჰამედ თაჰერის გარდა თვით ფარსადანი მოგვითხრობს: „ბედნიერმან შაჰაბაზ ყაენმან კარგის თვალთ მნახა და დიდი პატივი დამდვა, ასე რომ უფროსი ერთი სადივანბეგოს სამსახურს მე მიბრძანებდა. ესეები დივანთბეგს ეჯავრა და ისპაჰანის ლოთებს ასწავლა, ტყვილად ამიჩვილა და მრავალი ტყუვილი მოგონება ათქმევინა. ეს ხელმწიფემ შეუტყო, დააჭირვინა, თვალეები დასთხარა და რაც აქვნდა,

1 მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა. გვ. 386; რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვ. 11.

2 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი. ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 10.

3 B. Dorn, Beitrage sur Geschichte der kaukasischen Länder und Völker aus morgenländischen Quellen III, Erster Beitrag zur Geschichte der Georgier. Memoires de l'Académie Imperiale Des Science, VI serie, t. sixième SPb., გვ. 431.

4 Histoire modern de la Géorgie, II, 1-re livraison გვ. 512 (სულეიმანი -სეფიანთა მე-8 შაჰი, 1647-1694).

5 კ. კუცია. ისპაჰანის ქართველი ტარულები, გვ. 98.